

შპს „ქართული აგრო სახლი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს „ქართული აგრო სახლი“ და მისი საქმიანობა	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3 მომზადების საფუძველი	6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	7
5 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	8
6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში	9
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
8 ძირითადი საშუალებები	12
9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები	15
10 მარაგები	17
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
12 ფული და ფულის ეკვივალენტები	19
13 საწესდებო კაპიტალი	20
14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
15 ამონაგების მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	21
16 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	22
17 დისტრიბუციის და კომერციული ხარჯები	22
18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
19 ფინანსური დანახარჯები	23
20 მოგების გადასახადი	23
21 გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები	24
22 ფინანსური რისკის მართვა	25
23 კაპიტალის მართვა	27
24 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები	27
25 შეფასების კატეგორიის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა	28
26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართული აგრო სახლის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ქართული აგრო სახლის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისთვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) („IESBA“-ის კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ „IESBA“-ის კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია შედგება მმართველობითი ანგარიშგებისგან (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას მასზე).

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა რომ წავიკითხოთ მმართველობითი ანგარიშგება და ამით განვსაზღვროთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტში მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვანაირად ხომ არ არის არსებითად მცდარი. თუ ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენ ვასკვნით რომ მმართველობით ანგარიშგებაში არსებითი შეცდომაა, ჩვენ მოგვეთხოვება აღნიშნული ფაქტის წარდგენა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არაფერი გვაქვს წარსადგენი.

დამატებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება რომ გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილების შესახებ თუ რამდენად შეესაბამება ისინი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით:

- იმ წლის მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგებაა მომზადებული, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და;
- მმართველობითი ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 6-ე მუხლის 7 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვაებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ასეთი არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძველის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებამა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (Reg.# SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (Reg.#SARAS-A-506913)

25 ივნისი 2025

თბილისი, საქართველო

შპს „ქართული აგრო სახლი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართული ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,421	2,303
აქტივების გამოყენების უფლებები	9	444	89
არამატერიალური აქტივები		28	51
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,893	2,443
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	518	378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,903	1,424
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	2,496	2,063
სულ მიმდინარე აქტივები		4,917	3,865
სულ აქტივები		7,810	6,308
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	684	684
გაუნაწილებელი მოგება		4,840	3,154
სულ საკუთარი კაპიტალი		5,524	3,838
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	279	22
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		279	22
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	184	78
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,823	2,370
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,007	2,448
სულ ვალდებულებები		2,286	2,470
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,810	6,308

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 ივნისს

გურამ კაკუშაძე
 დირექტორი

სოფიო არსენიძე
 ფინანსური დირექტორი

შპს „ქართული აგრო სახლი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართული ლარში	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15	25,861	22,567
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16	(19,944)	(16,363)
საერთო მოგება		5,917	6,204
სხვა შემოსავალი		39	59
დისტრიბუციის და კომერციული ხარჯები	17	(2,165)	(1,631)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,283)	(1,927)
სხვა შემოსულობები/(ზარალები), ნეტო		(42)	(36)
საოპერაციო მოგება		1,466	2,669
ფინანსური შემოსავალი		254	245
ფინანსური ხარჯები	19	(34)	(28)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,686	2,886
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,686	2,886
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,686	2,886

*შპს „ქართული აგრო სახლი“
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება*

ათას ქართული ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		684	1,568	2,252
წლის მოგება		-	2,886	2,886
სულ წლის სრული შემოსავალი		-	2,886	2,886
საწესდებო კაპიტალის შემცირება	13	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(1,300)	(1,300)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		684	3,154	3,838
წლის მოგება		-	1,686	1,686
სულ წლის სრული შემოსავალი		-	1,686	1,686
გამოცხადებული დივიდენდები	13	-		
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		684	4,840	5,524

შპს „ქართული აგრო სახლი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,686	2,886
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	8, 9	350	321
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8	(2)	(2)
ფინანსური შემოსავალი		(254)	(245)
ფინანსური დანახარჯები	19	34	28
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული სხვაობები	9	5	(3)
სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები		(2)	(11)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		1,817	2,974
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება	11	(479)	33
მარაგების ზრდა	10	(140)	(40)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(546)	628
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(1,165)	621
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		254	245
გადახდილი პროცენტი	9	(36)	(24)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		870	3,816
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენები	8	(272)	(2,069)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	8	3	5
შემოსულობა/არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შეძენები		2	(3)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(267)	(2,067)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	9	(172)	(205)
კომპანიის მფლობელისადმი გადახდილი დივიდენდები	13	-	(1,300)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(172)	(1,505)
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		2	5
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	2,063	1,814
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	2,496	2,063

1 შპს „ქართული აგრო სახლი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „ქართული აგრო სახლი“-სთვის (შემდეგში „კომპანია“).

კომპანია დაარსდა 2015 წლის 12 ივნისს (სარეგისტრაციო და საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 404495523; რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ფლობდა შპს „გრინჰაუზ ჰოლდინგი“ და მის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა GCF LP (რეგისტრირებულია კაიმანის კუნძულებზე), რომელიც საბოლოოდ კონტროლდება ეკატერინე ხვედელიძის მიერ.

კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია, შპს „გრინჰაუზ ჰოლდინგი“ წარადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის დაფინანსების მთლიანი წყარო არის მფლობელისგან მოზიდული სახსრები. კომპანიას ჰყავს ოთხმოცდაათზე მეტი თანამშრომელი სხვადასხვა სექტორში: ადმინისტრაცია, წარმოება, გაყიდვები და დისტრიბუცია.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ჩართულია ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდგომ შენახვა, დისტრიბუციასა და ექსპორტში და სპეციალიზებულია ისეთ ბოსტნეულზე როგორიცაა: პომიდორი, კიტრი, ბულგარული წიწაკა, ბადრიჯანი და სალათის ფურცელი. შპს „ქართული აგრო სახლი“ არის ექსკლუზიური დისტრიბუტორი სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს. მოსავლის აღების შემდგომი ოპერაციები მოიცავს დასაწყობებას, გადანაწილებას, შენახვას, დახარისხებას და დაფასებას - ეს ოპერაციები ხორციელდება საწყობში და დაფასოების ადგილას, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველო. ასაწონი და დაფასოებული პროდუქციის დისტრიბუცია ხდება რამდენიმე ადგილობრივ გაყიდვის არხებში ქვეყნის დედაქალაქსა და რეგიონებში - საცალო ვაჭრობის ქსელებსა და ძირითად ბაზრებში - მათ შორის „დეზერტიერების“ და „ნავთლუღის“ ბაზრებში თბილისში და რეგიონულ ბაზრებში ბათუმსა და ქუთაისში. კომპანიის 2024 წლის მთლიანი გაყიდვების დაახლოებით 0.3% (2023: 1%) მოდის საექსპორტო გაყიდვებზე საექსპორტო პარტნიორის მეშვეობით.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია #203 დავით აღმაშენებლის ხეივანი ქ. 0159, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად ბიზნესსაქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველო აჩვენებს განვითარებადი ეკონომიკის მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციის განაკვეთს და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო რეგულაციები განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია და ხშირად იცვლება. საქართველოს აქვს შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და მცირე რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკის ეფექტურობაზე, ფინანსურ და მონეტარულ ინდიკატორებზე რასაც მთავრობა ადგენს, საგადასახადო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად.

სოფლის მეურნეობის სექტორი გამოცხადებულია ერთ-ერთ პრიორიტეტად და მთავრობის დაფინანსება, ისევე როგორც ინსტიტუციურ მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ძირითადი ბოსტნეულის პროდუქციის წარმოება მცირდება უკანასკნელი წლების განმავლობაში, როდესაც იგივე პროდუქციის იმპორტი იზრდება. ეს ქმნის გამოწვევას, ისევე როგორც შესაძლებლობას კომპანიისთვის, რომ მიაწოდოს მაღალ მოთხოვნიდი ბოსტნეულის პროდუქცია (ძირითადად არასეზონურ პერიოდში) და ჩაანაცვლოს იმპორტი.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

COVID-19. 2020 წლის 12 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა COVID-19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ საპასუხო ზომებს მიმართა და შემოიღო რამდენიმე შეზღუდვა როგორც კარანტინი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნესსაქმიანობის შეზღუდვები. ხსენებული შეზღუდვების ნაწილი შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, კვლავ რჩება რისკი რომ მთავრობმა დამატებითი შეზღუდვები დააწესოს 2025 წელს ვირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების გამო.

რუსეთ-უკრაინის ომი. უკრაინაში 2022 წლის თებერვალში დაწყებულ ომს უარყოფითი გავლენა ექნება გლობალურ ეკონომიკაზე რაც გამოიხატება სასაქონლო ფასების ზრდაში, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის დეფიციტში, ბიზნესსაქმიანობის შეფერხებაში და ა.შ. ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიის საოპერაციო შედეგებზე ომის პირდაპირი გავლენა არააარსებითია. მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიანი სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივ შედეგებისგან. კომპანიაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ აქვს უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს. ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნებათ კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

კლიმატის ცვლილება. კომპანიას ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკს. კლიმატის ცვლილების რისკთან დაკავშირებით, კომპანია მუშაობს შიდა სტრუქტურის მეთოდოლოგიაში კლიმატის რისკის ინტეგრირებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება რომელსაც გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკასა და შედეგად კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ყველა აუცილებელი ზომას იღებს კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სააღრიცხვო სტანდარტები) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, რომელიც შეცვლილია რეალური ღირებულებით ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების დროს. მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები მოყვანილია თითოეულ შესაბამის შენიშვნაში. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეულ კრიტიკულ შეფასებებს. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს რომ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები რომლებიც მოითხოვს მსჯელობების მაღალ დონეს და სირთულეს, ან საკითხები სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 4.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (“GEL”), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი / სხვა შემოსულობები/(ზარალები), ნეტო. სავალუტო მოგება და ზარალი, დაკავშირებული მიღებულ სესხებთან და ფულის და ფულის ეკვივალენტებთან, აისახება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მუხლში - „ფინანსურ შემოსავალი ან ხარჯი“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, მუხლში - „სხვა შემოსულობები/(ზარალები), ნეტო“. წლის ბოლო კურსებით გადაანგარიშება არ ხორციელდება არაფულადი მუხლებისთვის რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო აშშ დოლარი (“USD”) 1 = 2.8068 ლარი და ევრო (“EUR”) 1 = 2.9306 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს: USD 1 = 2.6894 ლარი და EUR 1 = 2.9753 ლარი). დღეისათვის, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოქვეყნების შემდეგ. გამოქვეყნების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის მფლობელის დასტურს, რომელმაც მოახდინა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს რომლებსაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 8.

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 9.

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შემდეგი ახალი სტანდარტები შესწორებები:

ცვლილებები ფასს 16-ში იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ისეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მიმდინარედ კლასიფიკაცია – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში განახლდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები აზუსტებს თუ როგორ კლასიფიცირდება ვალდებულებები გრძელვადიანად ან მიმდინარედ, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება რომ გადავადდოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. 2022 წლის ოქტომბერში შეტანილი ცვლილების თანახმად, ანგარიშგების დღის შემდეგ სესხის შესასრულებელი პირობები (კოვენანტები) არ ახდენს გავლენას ვალის მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების დღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ თუ პირობა დარღვეულია საანგარიშგებო თარიღისთვის ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან მიღებულია მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის პირობა ირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. დამატებით, ცვლილებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის გადაფარვასაც კომპანია მის კაპიტალში შესაძლო გარდაქმნის გზით აპირებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირებული იყოს საკუთარ კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც კონვერტირების არჩევის უფლება კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). საფინანსო შეთანხმებების არაადეკვატური და შეცდომაში შემყვანი განმარტებითი შენიშვნების მიმართ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ინტერესების საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბასსს-მა გამოსცა ბასს 7-ის და ფასს 7-ის შესწორებები რომლებიც მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებების (SFAs) წარდგენას. ეს შესწორებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებების ისეთ წარდგენას რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ ასეთი შეთანხმებების შეფასება საწარმოს ვალდებულებებთან, ფულად ნაკადებთან და ლიკვიდურობის რისკთან მიმართებაში. ამ დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია გააუმჯობესოს მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებების გამჭვირვალობა. ცვლილებას გავლენა აქვს მხოლოდ წარდგენის მოთხოვნებზე და არა აღიარების და შეფასების პრინციპებზე. წარდგენის ახალ მოთხოვნები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება კომპანიას არ დაუწყია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლითი უნარის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ფასს-მ გამოსცა ბასს 21-ის შესწორებები რათა დაეხმაროს საწარმოებს ორი ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის შეფასებაში და სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრაში იმ შემთხვევაში როცა სახეზეა გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა. საწარმოზე ცვლილებებს გავლენა აქვს მაშინ როდესაც სპეციფიკური მიზნით, უცხოური ვალუტით განხორციელებული ტრანზაქცია ან ოპერაცია მოკლებულია გაცვლის შესაძლებლობას შეფასების თარიღისთვის. ბასს 21-ის ცვლილება არ იძლევა დეტალურ მოთხოვნებს თუ როგორ შეფასდეს სპოტ კურსი. სანაცვლოდ, ის იძლევა სამოქმედო ჩარჩოს რომლის შესაბამისადაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნის გამოყენებისას, შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება არაა ნებადართული. ცვლილება მოითხოვს რომ თანხები შეფასებული სპოტ კურსით დაკონვერტირდეს თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, დაგროვილი მოგების ან დაგროვილი საკურსო სხვაობის კორექტირებით. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს, ბასს-მა გამოსცა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შემდეგი შესწორებები:

- (a) დააზუსტა გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღრიცხვიდან ამოღების თარიღი, შემოიღებული ახალ გამოწვევასთან ერთად იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ფორმდება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- (b) დააზუსტა და დაამატა დამატებითი ინსტრუქციები იმის გასარკვევად, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდასთან (SPPI – *solely payments of principal and interest*) დაკავშირებულ კრიტერიუმს;
- (c) დაამატა ახალი ახსნა-განმარტებები იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეიძლება ცვლიდეს ფულადი ნაკადების სტრუქტურას (მაგალითად, ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მმართველობის – ESG მიზნების შესრულებასთან); და
- (d) განაახლა იმ კაპიტალური ინსტრუმენტების ახსნა-განმარტებები, რომლებიც გასნაზღვრულია რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით (FVOCI – *fair value through other comprehensive income*).

IFRS 18 წარდგენა და ახსნა-განმარტება ფინანსურ ანგარიშგებებში (გამოცემულია 2024 წლის აპრილს და ძალაში შედის 2027 წლის პირველ იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში, ბასს-მა გამოსცა ფასს 18, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისა და ახსნა-განმარტების ახალი სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგების განახლებაზე. ფასს 18-ში წარმოდგენილი ძირითადი ახალი კონცეფციები ეხება:

- მოგება ან ზარალის სტრუქტურას;
- ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის გარკვეული მაჩვენებლების შესახებ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (იგულისხმება მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლები); და
- აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაუმჯობესებულ პრინციპებს, რომლებიც ზოგადად ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებასა და შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩანაცვლებს ბასს 1-ს; ბასს 1-ში არსებული სხვა მრავალი პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით. ფასს 18 გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, თუმცა შესაძლოა შეიცვალოს ის, რასაც კომპანია აცხადებს „საოპერაციო მოგების ან ზარალის“ სახით. ფასს 18 გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შესადარის ინფორმაციაზე.

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში (გაგრძელება)

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებები (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ახალი ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი შვილობილი კომპანიებისთვის. ფასს 19 უფლებას აძლევს შესაბამის შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შემცირებული ახსნა-განმარტებებით. ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯებს, ამავდროულად შეინარჩუნებს ინფორმაციის სასარგებლო თვისებებს მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის. შვილობილი კომპანიები, რომლებიც იყენებენ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს საკუთარი ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარადგენენ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც შესაძლოა არაპროპორციული იყოს მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 გაუმკლავდება ამ გამოწვევებს შემდეგნაირად:

- შვილობილ კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სახის საბუღალტრო აღრიცხვა – რომელიც დააკმაყოფილებს როგორც მშობელი კომპანიის, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების საჭიროებებს;
- შემცირდება გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნას შემცირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რომელიც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა საჭიროებებს.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი). ეს ცვლილება აგვარებს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას, ან შეტანასთან მიმართებაში. ცვლილებების მთავარი შედეგია სრული მოგება ან ზარალის აღიარება ბიზნესსაქმიანობის ოპერაციის დროს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება მაშინ როცა ოპერაციაში მონაწილეობს ისეთი აქტივი, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას, იმ შემთხვევაშიც თუ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობს. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 14 – გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს). ფასს 14 საშუალებას აძლევს ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტების პირველად გამოყენებისას, განაგრძონ სარეგულაციო ტარიფებთან დაკავშირებული თანხების აღიარება თავიანთი წინა GAAP-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, როდესაც ისინი პირველად გადადიან ფასს-ის სტანდარტებზე. თუმცა, იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს შედარებადობა იმ ერთეულებთან, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტებს და არ აღიარებენ მსგავს თანხებს, სტანდარტი მოითხოვს, რომ სარეგულაციო ტარიფის გავლენა წარმოდგენილი იქნას ცალკე სხვა მუხლებისაგან. საწარმოს, რომელიც უკვე ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში, არ შეუძლია აღნიშნული სტანდარტის გამოყენება. სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ განსასაზღვრელია IASB-ის მიერ.

ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1-ში განიმარტა, რომ ჰეჯირების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ჰეჯი არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღიარების „კვალიფიციურ კრიტერიუმებს“ და არა მხოლოდ „პირობებს“, რათა აღმოიფხვრას არათანმიმდევრულობიდან წარმოშობილი შესაძლო გაუგებრობა ფასს 1-ის ტექსტსა და ფასს 9-ის ჰეჯირების აღიარების მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს გამჟღავნებას იმ ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება/ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს შენარჩუნებული აქვს ჩართულობა, მათ შორის მითითება იმაზე, შეიცავდა თუ არა სამართლიანი ღირებულების გაზომვა „მნიშვნელოვან დაუკვირვებლად მონაცემებს“. ეს ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა ძველი ფორმულირება: „მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც არ ეფუძნებოდა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს“. აღნიშნული ცვლილება ტექსტს შეესაბამება ფასს 13-ის ტერმინოლოგიას. ასევე, დაზუსტდა ფასს 7-ის განმარტებითი გზამკვლევის გარკვეული მაგალითები და დამატა ტექსტი, რომ აღნიშნული მაგალითები არ წარმოადგენს ფასს 7-ის მითითებულ პუნქტებში მოცემული ყველა

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში (გაგრძელება)

მოთხოვნის ამსახველ სრულყოფილ ილუსტრაციას. ფასს 16-ში განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე დაადგენს, რომ იჯარის ვალდებულება გაუქმებულია ფასს 9-ის შესაბამისად, მას ევალება გამოიყენოს ფასს 9-ის სახელმძღვანელო, რათა აღიაროს ნებისმიერი გამომდინარე მოგება/ზარალი მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ეს დაზუსტება ვრცელდება იმ იჯარის ვალდებულებებზე, რომლებიც გაუქმდება იმ ანაზღაურების წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც საწარმოს პირველად გამოიყენებს აღნიშნულ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის არსებული არათანმიმდევრულობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად უნდა აღიარდეს „თანხით, რომელიც განისაზღვრა ფასს 15-ის გამოყენებით“, ნაცვლად „მათ ტრანზაქციის ფასად ჩაწერისა (როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 15-ში)“. ფასს 10-ში შეიცვალა ენა, რომ ნაკლებად კატეგორიულად განისაზღვროს, როდის მოქმედებს საწარმო როგორც „დე-ფაქტო აგენტი“, და განიმარტა, რომ პარაგრაფი B74-ში აღწერილი ურთიერთობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ მაგალითს იმ გარემოების, როდესაც აუცილებელია პროფესიული განსჯის გამოყენება დე-ფაქტო აგენტის სტატუსის დასადგენად. ბასს 7-ში შესწორდა მითითება „ღირებულების მეთოდზე“, რომელიც ფასს-ის სტანდარტებიდან ამოღებული იქნა 2008 წლის მაისში ბასსს-ს მიერ მიღებული ცვლილებით: „ინვესტიციის ღირებულება შვილობილ, ერთობლივად კონტროლირებად ან მეკავშირე საწარმოში“.

ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ ცვლილებების გამოყენება არსებით გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. იმის განსაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები გახლდათ შემდეგი:

ათას ქართულ ლარში	დაკავშირებულობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ძირითადი ხელმძღვანელი პირები	39	38
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	12	6
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სკდს*	1,559	2,102
საიჯარო ვალდებულებები	სკდს*	58	24

(*) სკდს – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან შესყიდვის თარიღიდან 2 თვეშია დასაფარი.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში შემდეგი იყო:

ათას ქართულ ლარში	დაკავშირებულობა	2024	2023
ფინანსური დანახარჯები	სკდს*	7	4

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური დანახარჯები	ძირითადი ხელმძღვანელი პირები	1	1
პროფესიული მომსახურების საკომისიო (შენიშვნა 18)	სხვა დაკავშირებული მხარეები	(31)	(17)

(*) სკდს – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ შეიძინა მარაგები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან (სს „ქართული გრინჰაუს კორპორაცია“) 17,468 ათასი ლარის ოდენობით (2023: 14,158 ათასი ლარი).

ძირითადი ხელმძღვანელი პირები. 2024 და 2023 წელს, ძირითადი ხელმძღვანელი პირები შემდეგია: დირექტორი, ფინანსური დირექტორი და კომერციული და ოპერაციების დირექტორები.

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შემდეგი იყო:

	2024		2023	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
<i>ათას ქართულ ლარში</i>				
<i>მოკლევადიანი გასამრჯელოები:</i>				
- ხელფასები	637	-	471	-
- მოკლევადიანი ბონუსები	212	39	129	38
- სხვა სარგებელი	9	-	7	-
სულ ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	858	39	607	38

მოკლევადიანი ბონუსები სრულიად გადაიხდება თორმეტი თვის განმავლობაში, იმ პერიოდის შემდეგ რაც მენეჯმენტმა შესაბამისი მომსახურება გაწია.

8 ძირითადი საშუალებები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

ცვეთა. მიწა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობები	40 - 50
ავტომობილები	5 - 10
საოფისე აღჭურვილობა	5 - 10
საწყობის აღჭურვილობა	5 - 10
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5 - 10

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები ჩვეულებრივ უმნიშვნელოა და ითვლება რომ ნულის ტოლია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე მისი გავლენა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იქნებოდა 17 ათასი ლარით ზრდა ან 14 ათასი ლარით შემცირება (2023: 29 ათასი ლარით ზრდა ან 29 ათასი ლარით შემცირება).

შპს „ქართული აგრო სახლი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათას ქართულ ლარში	დაუმთავრებელი მშენებლობა	მიწა და შენობები	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	საწყობის აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	-	-	278	219	52	142	691
დაგროვილი ცვეთა	-	-	(127)	(131)	(31)	(67)	(356)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	-	-	151	88	21	75	335
დამატებები	663	1065	20	36	13	272	2,069
გასვლები	-	-	(10)	(4)	(1)	-	(15)
ცვეთის ხარჯი	-	-	(39)	(32)	(8)	(19)	(98)
ცვეთა გასვლისას	-	-	7	4	1	-	12
ტრანსფერი	(206)	206	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	1,271	129	92	26	328	2,303
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	1,271	288	251	64	414	2,745
დაგროვილი ცვეთა	-	-	(159)	(159)	(38)	(86)	(442)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	1,271	129	92	26	328	2,303
დამატებები	18	29	119	25	60	21	272
გასვლები	-	-	-	(1)	-	-	(1)
ცვეთის ხარჯი	-	-	(59)	(34)	(17)	(43)	(153)
ცვეთა გასვლისას	-	-	-	-	-	-	-
ტრანსფერი	(6)	6	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	469	1,306	189	82	69	306	2,421
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	469	1,306	407	275	124	435	3,016
დაგროვილი ცვეთა	-	-	(218)	(193)	(55)	(129)	(595)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	469	1,306	189	82	69	306	2,432

* მიწა და შენობები მოიცავს მთლიანი ღირებულებით 1,094 ათასი ლარის მიწას. დარჩენილი 212 ათასი ლარის თვითღირებულებაში შედის საწარმოო შენობის ტერიტორია რომელიც წლის ბოლოს მიწის და შენობების კატეგორიიდან გადავიდა დაუსრულებელი მშენებლობის კატეგორიაში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების მუხლში სრულად გაცვეთილი აქტივების თვითღირებულებამ შეადგინა 146 ათასი ლარი (2023: 103 ათასი ლარი).

9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივების გამოყენების უფლებები. კომპანიას იჯარით აქვს აღებული სხვადასხვა ქონება და ავტომობილები. ხელშეკრულება შეიძლება შედგებოდეს იჯარის და არასაიჯარო კომპონენტებისგან. თუმცა ყველა იჯარა სადაც კომპანია მოიჯარეა, არჩეულია რომ არ გაიყოს იჯარის და არასაიჯარო კომპონენტად და სანაცვლოდ აღირიცხოს როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულებით.

აქტივების გამოყენების უფლებები ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება,
- საიჯარო გადახდები, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ყველა თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივის იმ კონდიციამდე აღდგენის ხარჯი რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულებით.

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა. აქტივების გამოყენების უფლებები ზოგადად იცვითება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ხანგრძლივობის პერიოდს შორის უმცირესი ვადით წრფივი მეთოდით. ყველა იჯარაში სადაც კომპანია მოიჯარეა იჯარის ხანგრძლივობის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისად ის იცვითება წრფივად იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდები წლებში შემდეგია:

	იჯარის პერიოდი
შენობები	5 - 7
ავტომობილები	3 - 5

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ასეთი განაკვეთის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, რა შემთხვევაც ზოგადად გვაქვს კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით, გამოყენებულია კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი და რომელიცაა განაკვეთი რომელსაც კომპანია გადაიხდიდა ისეთი სესხისთვის, რომლის აღებაც აუცილებელი იქნებოდა აქტივების გამოყენების უფლებების მსგავსი აქტივის შესაძენად, მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით. საიჯარო გადახდები გაყოფილია ძირის თანხად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი დაერიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, ისეთი ოდენობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების დარჩენილ ნაშთთან მიმართებით წარმოქმნის მუდმივ პერიოდულ საპროცენტო განაკვეთს თითოეული პერიოდისთვის.

გადახდები რომლებიც უკავშირდება აღჭურვილობის და ავტომობილების მოკლევადიან იჯარებს და დაბალფასიან აქტივებს აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე მოგება ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარებია 12 თვიანი ან ნაკლებ ვადიანი იჯარები.

შენიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა. იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და პირობას, რომლებიც წარმოშობს ეკონომიკურ სტიმულს რომ გამოყენებულ იქნეს გახანგრძლივების უფლება ან არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. გახანგრძლივების უფლებები (ან პერიოდი შეწყვეტის უფლების შემდეგ) იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ როდესაც საიმედოდ გარკვეულია რომ გახანგრძლივდება (არ იქნება შეწყვეტილი).

9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ასეთი არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.



- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (Reg.# SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (Reg.#SARAS-A-506913)

25 ივნისი 2025

თბილისი, საქართველო



საქმე

შპს „ქართული აგრო სახლი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართული ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,421	2,303
აქტივების გამოყენების უფლებები	9	444	89
არამატერიალური აქტივები		28	51
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,893	2,443
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	518	378
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,903	1,424
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	2,496	2,063
სულ მიმდინარე აქტივები		4,917	3,865
სულ აქტივები		7,810	6,308
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	684	684
გაუნაწილებელი მოგება		4,840	3,154
სულ საკუთარი კაპიტალი		5,524	3,838
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	279	22
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		279	22
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	184	78
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,823	2,370
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,007	2,448
სულ ვალდებულებები		2,286	2,470
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7,810	6,308

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 ივნისს

გურამ კაკუშაძე
დირექტორი

სოფიო არსენიძე
ფინანსური დირექტორი

ქართული აგრო სახლი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართული ლარში	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15	25,861	22,567
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16	(19,944)	(16,363)
საერთო მოგება		5,917	6,204
სხვა შემოსავალი		39	59
დისტრიბუციის და კომერციული ხარჯები	17	(2,165)	(1,631)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,283)	(1,927)
სხვა შემოსულობები/(ზარალები), ნეტო		(42)	(36)
საოპერაციო მოგება		1,466	2,669
ფინანსური შემოსავალი		254	245
ფინანსური ხარჯები	19	(34)	(28)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,686	2,886
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,686	2,886
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,686	2,886

შპს „ქართული აგრო სახლი“
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

ათას ქართული ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		684	1,568	2,252
წლის მოგება		-	2,886	2,886
სულ წლის სრული შემოსავალი		-	2,886	2,886
საწესდებო კაპიტალის შემცირება	13	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(1,300)	(1,300)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		684	3,154	3,838
წლის მოგება		-	1,686	1,686
სულ წლის სრული შემოსავალი		-	1,686	1,686
გამოცხადებული დივიდენდები	13	-		
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		684	4,840	5,524



შპს „ქართული აგრო სახლი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1,686	2,886
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	8, 9	350	321
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8	(2)	(2)
ფინანსური შემოსავალი		(254)	(245)
ფინანსური დანახარჯები	19	34	28
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული სხვაობები	9	5	(3)
სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები		(2)	(11)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		1,817	2,974
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება	11	(479)	33
მარაგების ზრდა	10	(140)	(40)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(546)	628
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(1,165)	621
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		254	245
გადახდილი პროცენტი	9	(36)	(24)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		870	3,816
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენები	8	(272)	(2,069)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	8	3	5
შემოსულობა/არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შეძენები		2	(3)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(267)	(2,067)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	9	(172)	(205)
კომპანიის მფლობელისადმი გადახდილი დივიდენდები	13	-	(1,300)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(172)	(1,505)
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		2	5
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	2,063	1,814
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	2,496	2,063

1 შპს „ქართული აგრო სახლი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „ქართული აგრო სახლი“-სთვის (შემდეგში „კომპანია“).

კომპანია დაარსდა 2015 წლის 12 ივნისს (სარეგისტრაციო და საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 404495523; რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ფლობდა შპს „გრინჰაუზ ჰოლდინგი“ და მის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა GCF LP (რეგისტრირებულია კაიმანის კუნძულებზე), რომელიც საბოლოოდ კონტროლდება ეკატერინე ხვედელიძის მიერ.

კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია, შპს „გრინჰაუზ ჰოლდინგი“ წარადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის დაფინანსების მთლიანი წყარო არის მფლობელისგან მოზიდული სახსრები. კომპანიას ჰყავს ოთხმოცდაათზე მეტი თანამშრომელი სხვადასხვა სექტორში: ადმინისტრაცია, წარმოება, გაყიდვები და დისტრიბუცია.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ჩართულია ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდგომ შენახვა, დისტრიბუციასა და ექსპორტში და სპეციალიზებულია ისეთ ბოსტნეულზე როგორიცაა: პომიდორი, კიტრი, ბულგარული წიწკა, ბადრიჯანი და სალათის ფურცელი. შპს „ქართული აგრო სახლი“ არის ექსკლუზიური დისტრიბუტორი სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს. მოსავლის აღების შემდგომი ოპერაციები მოიცავს დასაწყობებას, გადანაწილებას, შენახვას, დახარისხებას და დაფასობას - ეს ოპერაციები ხორციელდება საწყობში და დაფასობის ადგილას, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველო. ასაწონი და დაფასებული პროდუქციის დისტრიბუცია ხდება რამდენიმე ადგილობრივ გაყიდვის არხებში ქვეყნის დედაქალაქსა და რეგიონებში - საცალო ვაჭრობის ქსელებსა და ძირითად ბაზრებში - მათ შორის „დეზერტიერის“ და „ნავთლუღის“ ბაზრებში თბილისში და რეგიონულ ბაზრებში ბათუმსა და ქუთაისში. კომპანიის 2024 წლის მთლიანი გაყიდვების დაახლოებით 0.3% (2023: 1%) მოდის საექსპორტო გაყიდვებზე საექსპორტო პარტნიორის მეშვეობით.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია #203 დავით აღმაშენებლის ხეივანი ქ. 0159, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად ბიზნესსაქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველო აჩვენებს განვითარებადი ეკონომიკის მაჩასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციის განაკვეთს და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო რეგულაციები განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია და ხშირად იცვლება. საქართველოს აქვს შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და მცირე რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკის ეფექტურობაზე, ფინანსურ და მონეტარულ ინდიკატორებზე რასაც მთავრობა ადგენს, საგადასახადო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად.

სოფლის მეურნეობის სექტორი გამოცხადებულია ერთ-ერთ პრიორიტეტად და მთავრობის დაფინანსება, ისევე როგორც ინსტიტუციურ მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ძირითადი ბოსტნეულის პროდუქციის წარმოება მცირდება უკანასკნელი წლების განმავლობაში, როდესაც იგივე პროდუქციის იმპორტი იზრდება. ეს ქმნის გამოწვევას, ისევე როგორც შესაძლებლობას კომპანიისთვის, რომ მიაწოდოს მაღალ მოთხოვნი ბოსტნეულის პროდუქცია (ძირითადად არასეზონურ პერიოდში) და ჩაანაცვლოს იმპორტი.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

COVID-19. 2020 წლის 12 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა COVID-19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ საპასუხო ზომებს მიმართა და შემოიღო რამდენიმე შეზღუდვა როგორც კარანტინი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნესსაქმიანობის შეზღუდვები. ხსენებული შეზღუდვების ნაწილი შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, კვლავ რჩება რისკი რომ მთავრობებმა დამატებითი შეზღუდვები დააწესონ 2025 წელს ვირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების გამო.

რუსეთ-უკრაინის ომი. უკრაინაში 2022 წლის თებერვალში დაწყებულ ომს უარყოფითი გავლენა ექნება გლობალურ ეკონომიკაზე რაც გამოიხატება სასაქონლო ფასების ზრდაში, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის დეფიციტში, ბიზნესსაქმიანობის შეფერხებაში და ა.შ. ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიის საოპერაციო შედეგებზე ომის პირდაპირი გავლენა არაარსებითია. მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიანი სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური შედეგებისგან. კომპანიაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ აქვს უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს. ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნებათ კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

კლიმატის ცვლილება. კომპანიას ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკს. კლიმატის ცვლილების რისკთან დაკავშირებით, კომპანია მუშაობს შიდა სტრეს ტესტის მეთოდოლოგიაში კლიმატის რისკის ინტეგრირებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება რომელსაც გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკასა და შედეგად კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ყველა აუცილებელი ზომას იღებს კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სააღრიცხვო სტანდარტები) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, რომელიც შეცვლილია რეალური ღირებულებით ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების დროს. მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები მოყვანილია თითოეულ შესაბამის შენიშვნაში. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეულ კრიტიკულ შეფასებებს. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს რომ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები რომლებიც მოითხოვს მსჯელობების მაღალ დონეს და სირთულეს, ან საკითხები სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 4.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.



3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი / სხვა შემოსულობები/(ზარალები), ნეტო. სავალუტო მოგება და ზარალი, დაკავშირებული მიღებულ სესხებთან და ფულის და ფულის ეკვივალენტებთან, აისახება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მუხლში - „ფინანსურ შემოსავალი ან ხარჯი“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, მუხლში - „სხვა შემოსულობები/(ზარალები), ნეტო“. წლის ბოლო კურსებით გადაანგარიშება არ ხორციელდება არაფულადი მუხლებისთვის რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო აშშ დოლარი ("USD") 1 = 2.8068 ლარი და ევრო ("EUR") 1 = 2.9306 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერს: USD 1 = 2.6894 ლარი და EUR 1 = 2.9753 ლარი). დღეისათვის, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოქვეყნების შემდეგ. გამოქვეყნების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის მფლობელის დასტურს, რომელმაც მოახდინა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს რომლებსაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 7.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 8.

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 9.

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შემდეგი ახალი სტანდარტები შესწორებები:

ცვლილებები ფასს 16-ში იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ისეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მიმდინარედ კლასიფიკაცია – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში განახლდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები აზუსტებს თუ როგორ კლასიფიცირდება ვალდებულებები გრძელვადიანად ან მიმდინარედ, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება რომ გადავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. 2022 წლის ოქტომბერში შეტანილი ცვლილების თანახმად, ანგარიშგების დღის შემდეგ სესხის შესასრულებელი პირობები (კოვენანტები) არ ახდენს გავლენას ვალის მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად კლასიფიკაციაზე ანგარიშგების დღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ თუ პირობა დარღვეულია საანგარიშგებო თარიღისთვის ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან მიღებულია მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის პირობა ირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. დამატებით, ცვლილებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის გადაფარვასაც კომპანია მის კაპიტალში შესაძლო გარდაქმნის გზით აპირებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს. არსებობს გამოწვევის კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირებული იყოს საკუთარ კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც კონვერტირების არჩევის უფლება კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). საფინანსო შეთანხმებების არაადეკვატური და შეცდომაში შემყვანი განმარტებითი შენიშვნების მიმართ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ინტერესების საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბასსს-მა გამოსცა ბასს 7-ის და ფასს 7-ის შესწორებები რომლებიც მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებების (SFAs) წარდგენას. ეს შესწორებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებების ისეთ წარდგენას რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ ასეთი შეთანხმებების შეფასება საწარმოს ვალდებულებებთან, ფულად ნაკადებთან და ლიკვიდურობის რისკთან მიმართებაში. ამ დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია გააუმჯობესოს მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებების გამჭვირვალობა. ცვლილებას გავლენა აქვს მხოლოდ წარდგენის მოთხოვნებზე და არა აღიარების და შეფასების პრინციპებზე. წარდგენის ახალ მოთხოვნები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Handwritten signature and stamp

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება კომპანიას არ დაუწყია.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს, ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შემდეგი შესწორებები:

- (a) დააზუსტა გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღრიცხვიდან ამოღების თარიღი, შემოიღებული ახალ გამონაკლისთან ერთად იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ფორმდება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- (b) დააზუსტა და დამატა დამატებითი ინსტრუქციები იმის გასარკვევად, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდასთან (SPPI – *solely payments of principal and interest*) დაკავშირებულ კრიტერიუმს;
- (c) დამატა ახალი ახსნა-განმარტებები იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეიძლება ცვლიდეს ფულადი ნაკადების სტრუქტურას (მაგალითად, ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მმართველობის – ESG მიზნების შესრულებასთან); და
- (d) განაახლა იმ კაპიტალური ინსტრუმენტების ახსნა-განმარტებები, რომლებიც გასწავლულია რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით (FVOCI – *fair value through other comprehensive income*).

IFRS 18 წარდგენა და ახსნა-განმარტება ფინანსურ ანგარიშგებებში (გამოცემულია 2024 წლის აპრილს და ძალაში შედის 2027 წლის პირველ იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში, ბასსს-მა გამოსცა ფასს 18, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისა და ახსნა-განმარტების ახალი სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგების განახლებაზე. ფასს 18-ში წარმოდგენილი ძირითადი ახალი კონცეფციები ეხება:

- მოგება ან ზარალის სტრუქტურას;
- ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის გარკვეული მაჩვენებლების შესახებ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (იგულისხმება მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლები); და
- აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაუმჯობესებულ პრინციპებს, რომლებიც ზოგადად ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებასა და შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს; ბასს 1-ში არსებული სხვა მრავალი პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით. ფასს 18 გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, თუმცა შესაძლოა შეიცვალოს ის, რასაც კომპანია აცხადებს „საოპერაციო მოგების ან ზარალის“ სახით. ფასს 18 გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შესაძარის ინფორმაციაზე.

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში (გაგრძელება)

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებები (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ახალი ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი შვილობილი კომპანიებისთვის. ფასს 19 უფლებას აძლევს შესაბამის შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შემცირებული ახსნა-განმარტებებით. ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მომზადების ხარჯებს, ამავდროულად შეინარჩუნებს ინფორმაციის სასარგებლო თვისებებს მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის. შვილობილი კომპანიები, რომლებიც იყენებენ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს საკუთარი ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარადგენენ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც შესაძლოა არაპროპორციული იყოს მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 გაუმკლავდება ამ გამოწვევებს შემდეგნაირად:

- შვილობილ კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სახის საბუღალტრო აღრიცხვა – რომელიც დააკმაყოფილებს როგორც მშობელი კომპანიის, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების საჭიროებებს;
- შემცირდება გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნას შემცირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რომელიც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა საჭიროებებს.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი). ეს ცვლილება აგვარებს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას, ან შეტანასთან მიმართებაში. ცვლილებების მთავარი შედეგია სრული მოგება ან ზარალის აღიარება ბიზნესსაქმიანობის ოპერაციის დროს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება მაშინ როცა ოპერაციაში მონაწილეობს ისეთი აქტივი, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას, იმ შემთხვევაშიც თუ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობს. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 14 – გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს). ფასს 14 საშუალებას აძლევს ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტების პირველად გამოყენებისას, განაგრძონ სარეგულაციო ტარიფებთან დაკავშირებული თანხების აღიარება თავიანთი წინა GAAP-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, როდესაც ისინი პირველად გადადიან ფასს-ის სტანდარტებზე. თუმცა, იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს შედარებადობა იმ ერთეულებთან, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტებს და არ აღიარებენ მსგავს თანხებს, სტანდარტი მოითხოვს, რომ სარეგულაციო ტარიფის გავლენა წარმოდგენილი იქნას ცალკე სხვა მუხლებისაგან. საწარმოს, რომელიც უკვე ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში, არ შეუძლია აღნიშნული სტანდარტის გამოყენება. სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ განსასაზღვრელია IASB-ის მიერ.

ფასს-ის ანგარიშგების სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1-ში განიმარტა, რომ ჰეჯირების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ჰეჯი არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღიარების „კვალიფიციურ კრიტერიუმებს“ და არა მხოლოდ „პირობებს“, რათა აღმოიფხვრას არათანმიმდევრულობიდან წარმოშობილი შესაძლო გაუგებრობა ფასს 1-ის ტექსტსა და ფასს 9-ის ჰეჯირების აღიარების მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს გამჟღავნებას იმ ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება/ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს შენარჩუნებული აქვს ჩართულობა, მათ შორის მითითება იმაზე, შეიცავდა თუ არა სამართლიანი ღირებულების გაზომვა „მნიშვნელოვან დაუკვირვებლად მონაცემებს“. ეს ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა ძველი ფორმულირება: „მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც არ ეფუძნებოდა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს“. აღნიშნული ცვლილება ტექსტს შეესაბამება ფასს 13-ის ტერმინოლოგიას. ასევე, დაზუსტდა ფასს 7-ის განმარტებითი გზამკვლევის გარკვეული მაგალითები და დაემატა ტექსტი, რომ აღნიშნული მაგალითები არ წარმოადგენს ფასს 7-ის მითითებულ პუნქტებში მოცემული ყველა

Handwritten signature and stamp

6 სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში (გაგრძელება)

მოთხოვნის ამსახველ სრულყოფილ ილუსტრაციას. ფასს 16-ში განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე დაადგენს, რომ იჯარის ვალდებულება გაუქმებულია ფასს 9-ის შესაბამისად, მას ევალება გამოიყენოს ფასს 9-ის სახელმძღვანელო, რათა აღიაროს ნებისმიერი გამომდინარე მოგება/ზარალი მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ეს დაზუსტება ვრცელდება იმ იჯარის ვალდებულებებზე, რომლებიც გაუქმდება იმ ანაზღაურების წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომელშიც საწარმოს პირველად გამოიყენებს აღნიშნულ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის არსებული არათანმიმდევრულობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად უნდა აღიარდეს „თანხით, რომელიც განისაზღვრა ფასს 15-ის გამოყენებით“, ნაცვლად „მათ ტრანზაქციის ფასად ჩაწერისა (როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 15-ში)“. ფასს 10-ში შეიცვალა ენა, რომ ნაკლებად კატეგორიულად განისაზღვროს, როდის მოქმედებს საწარმო როგორც „დე-ფაქტო აგენტი“, და განიმარტა, რომ პარაგრაფი B74-ში აღწერილი ურთიერთობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ მაგალითს იმ გარემოების, როდესაც აუცილებელია პროფესიული განსჯის გამოყენება დე-ფაქტო აგენტის სტატუსის დასადგენად. ბასს 7-ში შესწორდა მითითება „ღირებულების მეთოდზე“, რომელიც ფასს-ის სტანდარტებიდან ამოღებული იქნა 2008 წლის მაისში ბასსს-ს მიერ მიღებული ცვლილებით: „ინვესტიციის ღირებულება შვილობილ, ერთობლივად კონტროლირებად ან მეკავშირე საწარმოში“.

ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ ცვლილებების გამოყენება არსებით გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. იმის განსასაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები გახლდათ შემდეგი:

ათას ქართულ ლარში	დაკავშირებულობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ძირითადი ხელმძღვანელი პირები	39	38
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	12	6
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სკდს*	1,559	2,102
საიჯარო ვალდებულებები	სკდს*	58	24

(*) სკდს – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან შესყიდვის თარიღიდან 2 თვეშია დასაფარი.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში შემდეგი იყო:

ათას ქართულ ლარში	დაკავშირებულობა	2024	2023
ფინანსური დანახარჯები	სკდს*	7	4

Handwritten signature and blue circular stamp of the company.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური დანახარჯები	ძირითადი ხელმძღვანელი პირები	1	1
პროფესიული მომსახურების საკომისიო (შენიშვნა 18)	სხვა დაკავშირებული მხარეები	(31)	(17)

(*) სკდს – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ შეიძინა მარაგები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან (სს „ქართული გრინჰაუს კორპორაცია“) 17,468 ათასი ლარის ოდენობით (2023: 14,158 ათასი ლარი).

ძირითადი ხელმძღვანელი პირები. 2024 და 2023 წელს, ძირითადი ხელმძღვანელი პირები შემდეგია: დირექტორი, ფინანსური დირექტორი და კომერციული და ოპერაციების დირექტორები.

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შემდეგი იყო:

ათას ქართულ ლარში	2024		2023	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
<i>მოკლევადიანი გასამრჯელოები:</i>				
- ხელფასები	637	-	471	-
- მოკლევადიანი ბონუსები	212	39	129	38
- სხვა სარგებელი	9	-	7	-
სულ ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	858	39	607	38

მოკლევადიანი ბონუსები სრულიად გადაიხდება თორმეტი თვის განმავლობაში, იმ პერიოდის შემდეგ რაც მენეჯმენტმა შესაბამისი მომსახურება გაწია.

8 ძირითადი საშუალებები**არსებითი საადრიცხო პოლიტიკა**

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

ცვეთა. მიწა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობები	40 - 50
ავტომობილები	5 - 10
საოფისე აღჭურვილობა	5 - 10
საწყობის აღჭურვილობა	5 - 10
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5 - 10

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები ჩვეულებრივ უმნიშვნელოა და ითვლება რომ ნულის ტოლია.

მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და მსჯელობები საადრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშაებენ კომპანიისთვის.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე მისი გავლენა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იქნებოდა 17 ათასი ლარით ზრდა ან 14 ათასი ლარით შემცირება (2023: 29 ათასი ლარით ზრდა ან 29 ათასი ლარით შემცირება).



8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათას ქართულ ლარში	დაუმთავრებელი მშენებლობა	მიწა და შენიშვნები	აგრომობილები	საოფისე აქტუვების აქტუვების	საწვობის აქტუვების აქტუვების	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	-	-	278 (127)	219 (131)	52 (31)	142 (67)	691 (356)
დაგროვილი ცვეთა	-	-	151	88	21	75	335
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	-	-	127	131	31	67	356
დამატებები	663	1065	20	36	13	272	2,069
გასვლები	-	-	(10)	(4)	(1)	-	(15)
ცვეთის ხარჯი	-	-	(39)	(32)	(8)	(19)	(98)
ცვეთა გასვლისას	-	-	7	4	1	-	12
ტრანსფერი	(206)	206	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	1,271	129	92	26	328	2,303
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	1,271	288 (159)	251 (159)	64 (38)	414 (86)	2,745 (442)
დაგროვილი ცვეთა	-	-	129	92	26	328	2,303
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	1,271	129	92	26	328	2,303
დამატებები	18	29	119	25	60	21	272
გასვლები	-	-	-	(1)	-	-	(1)
ცვეთის ხარჯი	-	-	(59)	(34)	(17)	(43)	(153)
ცვეთა გასვლისას	-	-	-	-	-	-	-
ტრანსფერი	(6)	6	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	469	1,306	189	82	69	306	2,421
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	469	1,306	407 (218)	275 (193)	124 (55)	435 (129)	3,016 (595)
დაგროვილი ცვეთა	-	-	189	82	69	306	2,432
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	469	1,306	189	82	69	306	2,432

* მიწა და შენობები მოიცავს მთლიანი ღირებულებით 1,094 ათასი ლარის მიწას. დარჩენილი 212 ათასი ლარის თვითღირებულებაში შედის საწარმოო შენობის ტერიტორია რომელიც წლის ბოლოს მიწის და შენობების კატეგორიიდან გადავიდა დაუსრულებელი მშენებლობის კატეგორიაში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების მუხლში სრულად გაცემილი აქტივების თვითღირებულებამ შეადგინა 146 ათასი ლარი (2023: 103 ათასი ლარი).

Handwritten signature

9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივების გამოყენების უფლებები. კომპანიას იჯარით აქვს აღებული სხვადასხვა ქონება და ავტომობილები. ხელშეკრულება შეიძლება შედგებოდეს იჯარის და არასაიჯარო კომპონენტებისგან. თუმცა ყველა იჯარა სადაც კომპანია მოიჯარეა, არჩეულია რომ არ გაიყოს იჯარის და არასაიჯარო კომპონენტად და სანაცვლოდ აღირიცხოს როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულებით.

აქტივების გამოყენების უფლებები ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება,
- საიჯარო გადახდები, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ყველა თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივის იმ კონდიციამდე აღდგენის ხარჯი რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულებით.

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა. აქტივების გამოყენების უფლებები ზოგადად იცვითება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ხანგრძლივობის პერიოდს შორის უმცირესი ვადით წრფივი მეთოდით. ყველა იჯარაში სადაც კომპანია მოიჯარეა იჯარის ხანგრძლივობის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისად ის იცვითება წრფივად იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდები წლებში შემდეგია:

იჯარის პერიოდი

შენობები

5 - 7

ავტომობილები

3 - 5

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება ახლანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ასეთი განაკვეთის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, რა შემთხვევაც ზოგადად გვაქვს კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით, გამოყენებულია კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი და რომელიცაა განაკვეთი რომელსაც კომპანია გადაიხდიდა ისეთი სესხისთვის, რომლის აღებაც აუცილებელი იქნებოდა აქტივების გამოყენების უფლებების მსგავსი აქტივის შესაძენად, მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით. საიჯარო გადახდები გაყოფილია ძირის თანხად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი დაერიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში, ისეთი ოდენობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების დარჩენილ ნაშთთან მიმართებით წარმოქმნის მუდმივ პერიოდულ საპროცენტო განაკვეთს თითოეული პერიოდისთვის.

გადახდები რომლებიც უკავშირდება აღჭურვილობის და ავტომობილების მოკლევადიან იჯარებს და დაბალფასიან აქტივებს აღიარდება ხარჯად წრფივი მეთოდის საფუძველზე მოგება ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარებია 12 თვიანი ან ნაკლებ ვადიანი იჯარები.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა. იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და პირობას, რომლებიც წარმოშობს ეკონომიკურ სტიმულს რომ გამოყენებულ იქნეს გახანგრძლივების უფლება ან არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. გახანგრძლივების უფლებები (ან პერიოდი შეწყვეტის უფლების შემდეგ) იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ როდესაც საიმედოდ გარკვეულია რომ გახანგრძლივდება (არ იქნება შეწყვეტილი).

თავმჯდომარე

9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების განსაზღვრისას გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო განაკვეთს რადგან იჯარაში ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთის ადვილად შეფასება შეუძლებელია. ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრისას, კომპანია იყენებს ანალიტიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც შექმნილი და გამოქვეყნებულია სეზონის მიერ ყოველთვიურად. ეს არის განაკვეთი რომელსაც კომპანია საქართველოში გადაიხდის მსგავსი აქტივის შესაძენად სესხისთვის, რომლის აღებაც საჭირო იქნებოდა მსგავსი პირობებით და მსგავსი უზრუნველყოფით.

გაბანგრძლივების და შეწყვეტის უფლებები. გაბანგრძლივების და შეწყვეტის უფლებები ჩართულია იჯარებში კომპანიის მასშტაბით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაციისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვისას. იჯარის შეწყვეტის და გაბანგრძლივების უფლებების უმრავლესობა გამოყენებადია მხოლოდ კომპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ. იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც ქმნიან ეკონომიკურ წახალისებას გაბანგრძლივების უფლებების გამოყენების ან შეწყვეტის უფლების არ გამოყენების. გაბანგრძლივების უფლებები (ან პერიოდი შეწყვეტის უფლების შემდეგ) იჯარის ხელშეკრულებაში არის მხოლოდ მაშინ როდესაც საიმედოდ გარკვეულია რომ გაგრძელდება (არ იქნება შეწყვეტილი). საიჯარო გადახდები რომლებიც გადაიხდება სავარაუდოდ გარკვეული გაგრძელების უფლების გამოყენების შემდეგ ასევე ჩართულია ვალდებულების შეფასებაში.

კომპანიას იჯარით აქვს აღებული რამდენიმე ოფისი, საწყობი და ავტომობილები. ტიპური ქირის პერიოდი ფიქსირებული პერიოდებისთვის შედგება 3 თვიდან 3 წლამდე.

ათას ქართულ ლარში	შენიშვნები	ავტომობილები	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	211	75	286
დამატებები	44	4	48
გასვლები	(412)	(26)	(438)
ცვეთის ხარჯი	(168)	(28)	(196)
ცვეთა გასვლისას	375	14	389
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	50	39	89
დამატებები	504	34	538
გასვლები	(348)	17	(365)
ცვეთის ხარჯი	(144)	(32)	(176)
ცვეთა გასვლისას	343	15	358
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	405	39	444

კომპანია აღიარებს შემდეგ საიჯარო ვალდებულებებს:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	184	178
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	279	22
სულ საიჯარო ვალდებულებები	463	100

საპროცენტო ხარჯი რომელიც შესულია ფინანსურ დანახარჯებში 2024 და 2023 წლებში შეადგენდა 36 და 24 ათას ლარს. 2024 და 2023 წლებში მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები, შესული კომერციული და დისტრიბუციის ხარჯებში და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებში შეადგენდა 5 ათას ლარს და 2 ათას ლარს.

თავისუფალი
* 0101

9 აქტივების გამოყენების უფლებები და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

სულ იჯარებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინებამ 2024 და 2023 წლებში შეადგინა 208 ათასი ლარი და 229 ათასი ლარი.

ქვედა ცხრილში მოცემულია წმინდა ვალის ანალიზი და ცვლილებები კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში თითოეული წარდგენილი პერიოდისთვის.

ამ ვალდებულებების ერთეულები წარდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების საფინანსო საქმიანობის ნაწილში:

ათას ქართულ ლარში	ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები საიჯარო ვალდებულებები	სულ
ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვარს	320	320
ფულადი ნაკადები, გარდა გადახდილი პროცენტისა	(205)	(205)
დარიცხული პროცენტი	24	24
პროცენტის დაფარვა	(24)	(24)
დამატებები – იჯარები	48	48
გასვლები – იჯარები	(60)	(60)
უცხოური ვალუტის კურსის კორექტირება	(3)	(3)
ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს	100	100
ფულადი ნაკადები, გარდა გადახდილი პროცენტისა	(172)	(172)
დარიცხული პროცენტი	36	36
პროცენტის დაფარვა	(36)	(36)
დამატებები – იჯარები	538	538
გასვლები – იჯარები	(8)	(8)
უცხოური ვალუტის კურსის კორექტირება	5	5
ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბერს	463	463

10 მარაგები

არსებითი სადირიგხო პოლიტიკა

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსვლა - პირველი გასვლა“ მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომითი დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ათას ქართულ ლარში	2024	2023
ნედლეული	351	228
გასაყიდი საქონელი	71	66
მზა პროდუქცია	7	9
სხვა მასალები	89	75
სულ მარაგები 31 დეკემბერს	518	378

ბიკაძე ივანე

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

თავდაპირველი აღიარება. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ყველა თავის ფინანსურ აქტივს აფასებს ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით. კომპანიის ერთადერთი მიზანია აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“).

საკრედიტო ზარალის რეზერვი „ECL“-სთვის. კომპანიას გააჩნია ორი ტიპის ფინანსური აქტივი რომლებიც მიეკუთვნება „ECL“-ის მოდელს - სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად არსებობის მთელი პერიოდის ზარალის ანარიცხს იყენებს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნისთვის. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოიყენება „ECL“-ის შეფასებისათვის. შენიშვნა 21 გვაწვდის ინფორმაციას შემავალი ცვლადების, დაშვებების და შეფასების ტექნიკების შესახებ, რომელიც საჭიროა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დასათვლელად, ასევე ნაჩვენებია თუ როგორ იყენებს კომპანია ინფორმაციას მომავალ გეგმებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის მოდელში.

ათას ქართულ ლარში	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,733	1,185
სხვა ფინანსური მოთხოვნები	88	279
გამოკლებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(7)	(110)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,814	1,354
გაცემული ავანსები	37	36
სხვა საგადასახადო მოთხოვნები	52	34
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,903	1,424

სავაჭრო მოთხოვნები 5 ათასი ლარის ოდენობით (2023: 6 ათასი ლარი) შემცირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხით, დენომინირებულია აშშ დოლარში.

სავაჭრო და სხვა ფინანსურ მოთხოვნებში შესულია მოთხოვნები ადგილობრივი მომხმარებლების მიმართ 1,814 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 7 ათასი ლარი სრულად გაუფასურებულია. 432 ათასი ლარის სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები წარმოშობილია 30 დღემდე ვადაში ხოლო 1,382 ათასი ლარის წარმოშობილია 30-დან 90 დღემდე ვადაში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას რათა შეაფასოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც გამოიყენება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხის შესაქმნელად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („ECL“) შესაფასებლად ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოიყენება. გამარტივებული მიდგომის გამოყენების პირობები მითითებულია შენიშვნაში 21.

Handwritten signature



11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

წინამდებარე ცხრილი აჩვენებს ცვლილებებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხებში გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით წლიური პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

ათას ქართულ ლარში	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები	სულ ECL
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	5	105	110
ჩამოწერები	-	-	-
სხვა მოძრაობები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	5	105	110
ჩამოწერები	-	(103)	(103)
სხვა მოძრაობები	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	5	2	7

მოძრაობები გადახდილ ავანსებში შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	40	40
დამატებები	36	36
ავანსების აღიარების შეწყვეტა დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღებისას	(40)	(40)
სულ ავანსები 2023 წლის 31 დეკემბერს	36	36
დამატებები	27	27
ავანსების აღიარების შეწყვეტა დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღებისას	(26)	(26)
სულ ავანსები 2024 წლის 31 დეკემბერს	37	37

12 ფული და ფულის ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთებისთვის არაარსებითია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი „ECL“-სთვის. კომპანიას გააჩნია ორი ტიპის ფინანსური აქტივი რომლებიც მიეკუთვნება „ECL“-ის მოდელს - სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად არსებობის მთელი პერიოდის ზარალის ანარიცხს იყენებს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნისთვის. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოიყენება „ECL“-ის შეფასებისათვის.

ბიუჯეტის დირექტორი

12 ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

შენიშვნა 21 გვაწვდის ინფორმაციას შემავალი ცვლადების, დაშვებების და შეფასების ტექნიკების შესახებ, რომელიც საჭიროა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დასათვლელად, ასევე ნაჩვენებია თუ როგორ იყენებს კომპანია ინფორმაციას მომავალ გეგმებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის მოდელებში.

ათას ქართულ ლარში	2024	2023
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	2,471	2,042
- ლარში დენომინირებული	5	6
- აშშ დოლარში დენომინირებული	20	15
- ევროში დოლარში დენომინირებული		
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	2,496	2,063

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთები თავსდება დონეში 1. ამ ნაშთებისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ნულის ტოლია.

ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შეიძლება შეჯამებულ იქნეს Fitch რეიტინგის მიხედვით:

ათას ქართულ ლარში	2024	2023
არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული BB- შეფასება	2,496	2,063
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს	2,496	2,063

13 საწესდებო კაპიტალი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის დაფუძნების დოკუმენტში კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს დივიდენდები, რომლებიც გამოცხადდება პერიოდულად და უფლებამოსილია ფლობილი წილის პროპორციული ხმის უფლებით კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება. კომპანიის დამტკიცებული ბუღალტრული ანგარიშები არის საფუძველი მოგების განაწილების და სხვა სათანადო მოქმედებების. ქართული კანონმდებლობით მოგების განაწილების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე წლის წმინდა მოგება. 2024 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია დივიდენდი (2023: 1,300 ათასი ლარი).

Handwritten signature



14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აღიარება და შეფასება. სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც მეორე მხარე შეასრულებს მის საკონტრაქტო ვალდებულებას და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ათას ქართულ ლარში	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,670	2,226
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	55	34
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,725	2,260
31 დეკემბრის მდგომარეობით		
საკონტრაქტო ვალდებულება - მომხმარებლებიდან მიღებული ავანსები	29	51
დასაქმებულთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	69	59
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,823	2,370

ყველა საკონტრაქტო ვალდებულება უკავშირდება ერთ წელზე ნაკლები პერიოდის კონტრაქტებს.

15 ამონაგების მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება. კომპანია ამონაგებს უმთავრესად აგენერირებს ხილის და ბოსტნეულის გაყიდვიდან, ასაწონ და დაფასოებულ ფორმატებში. პროდუქტის დისტრიბუცია ძირითადად ადგილობრივი გაყიდვების არხებით ხდება და მოიცავს საცალო და საბითუმო ბაზრებს.

ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით ფასდაკლებების, ფასდათმობების, უკან დაბრუნებების, დღგ-ს, საექსპორტო მოსაკრებლების და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გარეშე.

საქონლის გაყიდვა.

ამონაგები ხილის და ბოსტნეული გაყიდვიდან აღიარდება გარკვეული დროის მომენტში როცა ხდება მომხმარებელზე საქონლის კონტროლის გადაცემა. გადაცემა ხდება მაშინ როდესაც საქონლის ფლობასთან ასოცირებული რისკები და სარგებლები მთლიანად გადადის მომხმარებელზე, ამით სრულდება გაყიდვის ოპერაცია.

ბაზრის დინამიკა და სეზონურობა ხილის და ბოსტნეულის ფასების მთავარი განმსაზღვრელია, უზრუნველყოფს კონკურენციას და რეაგირებას რყევებზე.


დაფინანსების კომპონენტი არ იგულისხმება რომ არის წარმოდგენილი, რამდენადაც გაყიდვები ხორციელდება 30 დღიანი საკრედიტო პირობებით, რაც საბაზრო პრაქტიკასთან თანხვედრაშია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდების მომენტში, რამდენადაც დროის მოცემულ მომენტში ანაზღაურება ხდება უპირობო, რადგან მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო სანამ გადახდის ვადა დადგება.

კომპანიის ვალდებულება რომ დაიბრუნოს ვადაგასული ან გაუყიდავი პროდუქტები, ჰიპერმარკეტებთან კონტრაქტის სტანდარტული პირობების შესაბამისად, აღიარებულია დარიცხულ ვალდებულებად „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში.

კომპანიის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შეადგეს 25,861 ათას ლარს 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 22,567 ათასი ლარი).

თეიმურაზ ცაიშვილი



15 ამონაგების მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების ჩაშლა:

კომპანიის ამონაგები წარმოიქმნება საქონლის და მომსახურების გადაცემის მომენტში, შემდეგ მთავარ პროდუქტების ხაზებსა და გეოგრაფიულ რეგიონებზე:

ათას ქართულ ლარში	2024	2023
საქონლის გადაცემის მომენტში ადგილობრივ ბაზარზე	25,765	22,434
საქონლის გადაცემის მომენტში საექსპორტო ბაზარზე	75	133
სხვა	21	-
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	25,861	22,567

კომპანიას აქვს ამონაგების ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

ამონაგები გარე მომხმარებლებიდან ყოველი მსგავსი პროდუქტის და მომსახურების ჯგუფისათვის შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2024	2023
ხილის და ბოსტნეულის გაყიდვები	12,428	10,668
დაფასოებული ხილის და ბოსტნეულის გაყიდვები	13,412	11,899
სხვა	21	-
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	25,861	22,567

16 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათას ქართულ ლარში	2024	2023
ხილის და ბოსტნეულის თვითღირებულება	11,655	9,942
დაფასოებული ხილის და ბოსტნეულის თვითღირებულება	8,289	6,421
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	19,944	16,363

17 დისტრიბუციის და კომერციული ხარჯები

არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორცაა სამედიცინო მომსახურება) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ათას ქართულ ლარში	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	1,527	1,032
სარეკლამო და მარკეტინგის მომსახურება	257	339
საწვავის ხარჯები	125	113
შეკეთების და მოვლა-შენახვის მომსახურება	110	77
დისტრიბუციაში გამოყენებული მასალები და კომპონენტები	106	41
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	-	1
დისტრიბუციის სხვა ხარჯები	40	28
სულ დისტრიბუციის და კომერციული ხარჯები	2,165	1,640

Handwritten signature



18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	1,504	1,234
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	306	297
პროფესიული მომსახურებების გადასახდელები	143	106
საწვავის ხარჯები	84	48
უსაფრთხოების ხარჯები	29	23
კომუნიკაციის ხარჯები	29	26
მიწის ნაკვეთების	26	50
დაზღვევის დანახარჯი	21	13
პროგრამული უზრუნველყოფის და გამოწერილი მომსახურების ხარჯი	8	11
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	7	1
ბანკის საკომისიოები	5	3
სხვა ხარჯები	121	115
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,283	1,927

19 ფინანსური დანახარჯები

ათას ქართულ ლარში	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	36	24
კურსთაშორისი სხვაობის ზარალები, შემცირებული შემოსულობებით	(2)	4
სულ მოგება ან ზარალში აღიარებული ფინანსური ხარჯები	34	28

20 მოგების გადასახადი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ გამომუშავებულ მოგებაზე, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. მოგების გადასახადი 15% გადასახდელია „აგროსილ“ ღირებულებაზე (მაგალითად, წმინდა დივიდენდები „იგროსება“ წყაროსთან დასაკავებელი („withholding“) გადასახადის 5%-ით, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტი იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას „აგროსილ“ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე vs იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

Handwritten signature



20 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯზე იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი მაინც გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმოდგენილობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ საწარმოებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარი გადახდებზე ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება სხვა გადასახადები გარდა მოგების მუხლში საოპერაციო ხარჯების ქვეშ.

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, არანაირი ვალდებულება დამატებითი გადასახადებისა ან ჯარიმების არ წესდება საგადასახადო ორგანოებისგან მიერ, როდესაც სამი წელია გასული იმ წლის დასრულებიდან, რომელშიც მოხდა ამგვარი დარღვევა.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სადაზღვევო ინდუსტრია. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოში განვითარებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერ არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს თავისი ქონების და ბიზნესის შეფერხების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო უზრუნველყოფას, არსებობს რისკი იმისა რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან დაზიანება გამოიწვევს არსებით უარყოფით ეფექტს კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ცნობიერება და შემოუთქმა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციებისათვის კორექტირებები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების განფენილობა აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკის განფენილობა წარმოიშევა კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეებთან ფულის გასესხებით ან სხვა ოპერაციებით, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს და კრედიტთან დაკავშირებული გარესაბაღანსო ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. კომპანიის აქვს განფენილობა საკრედიტო რისკის კონცენტრაციის მიმართ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად მომხმარებლებს წარმოადგენდა სამი კონტრაგენტი (2023 წლის 31 დეკემბერს: სამი კონტრაგენტი). სულ აგრეგირებული ბალანსი ამ მომხმარებლებთან შეადგენდა 1,146 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერს: 675 ათასი ლარი), ან მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 63%-ს (2022 წლის 31 დეკემბერს: 50%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფულადი ნაშთები განთავსებული იყო ორ ბანკში (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ორ ბანკში).

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური განფენილობა აქტივების კლასის მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ათას ქართულ ლარში	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 11)		
- სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	1,733	1,185
- სხვა ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	88	169
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 12)		
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	2,496	2,063
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური განფენილობა 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,317	3,417

საკრედიტო რისკი მართვა. საკრედიტო რისკი არ წარმოადგენს დიდ რისკს კომპანიის საქმიანობისთვის; კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკების კონცენტრაციის მიმართ განფენილობა, რომელიც უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს, რადგან კომპანიის საქმიანობა სტრუქტურირებულია ისე რომ ჰქონდეს კრედიტით გაყიდვები მხოლოდ სუპერმარკეტების დიდ ქსელებთან, რომლებიც იხდიან რეგულარულად და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები მუდმივად ნარჩუნდება დაბალ დონეზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში კომპანია იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას, რამდენადაც სავაჭრო მოთხოვნების პორტფელი შედგება მომხმარებელთა შეზღუდული რაოდენობისგან, საკრედიტო რისკების საერთო მახასიათებლების გარეშე.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები შესაბამისად ეფუძნება 24 თვეზე მეტი პერიოდის გაყიდვების საგადასახდელი პროფილებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე ან 2023 წლის 31 დეკემბრამდე და მოკორესპონდენტო წინარე საკრედიტო ზარალების გამოცდილებას ამ პერიოდში ინდივიდუალური მომხმარებლის მიმართ. წარსულის საკრედიტო ზარალები კორექტირებულია რომ ასახოს მიმდინარე და სამომავლოდ სავარაუდო ინფორმაცია მომხმარებლების უნარის შესახებ რომ დაფარონ მოთხოვნები, როგორცაა მომხმარებლის სამომავლო მდგომარეობა, მომხმარებელთა საქმიანობის სექტორი და საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციებში ასახული მაკროეკონომიკური ფაქტორები.

Handwritten signature and stamp

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკების მიმართ განფენილობა. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) ვალუტის, (ბ) საპროცენტო განაკვეთის და (გ) კაპიტალის პროდუქტების, ყველა რომელიც განფენილია ზოგადი და კონკრეტული საბაზრო მოძრაობების მიმართ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებაში, ხელმძღვანელობა აწესებს ვალუტის მაქსიმალური განფენილობის ლიმიტს და მთლიანობაში ორივე ღამის და დღის პოზიციის მიხედვით, რომლის მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათას ქართულ ლარში	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ლარი	4,285	(1,998)	2,287	3,396	(2,323)	1,073
აშშ დოლარი	5	(169)	(164)	6	(37)	(31)
ევრო	20	(21)	(1)	15	-	15
სულ	4,310	(2,188)	1,057	3,417	(2,360)	1,057

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

განფენილობა გამოთვლილია მხოლოდ იმ ფულად ბალანსებზე, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. შემდგომი ცხრილი წარმოადგენს მოგება ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გონივრული შესაძლო ცვლილებების მიმართ გაცვლითი კურსებში, გამოყენებული საშუალო განფენილობის სავალუტო რისკისთვის წლის განმავლობაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვებით:

ათას ქართულ ლარში	2024 წლის 31 დეკემბრის	2023 წლის 31 დეკემბრის
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	(33)	(6)
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება	33	6
ევროს 20%-ით გამყარება	-	3
ევროს 20%-ით გაუფასურება	-	(3)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ანგარიშგების პერიოდების ბოლოს და შესადარის თარიღებში, კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები გარდა ფულის და ფულის ეკვივალენტებისა, კერძოდ „მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები“.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს სირთულეები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიამ აქვს განფენილობა ყოველდღიურად მიიღოს მოთხოვნები თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის მართვას. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულის და ფულის ეკვივალენტებისაგან და სხვა მოთხოვნებისაგან.

Handwritten signature



22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება მიმდინარე გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვეზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 9)	18	37	167	323	545
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 14)	1,631	-	39	-	1,670
სხვა ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 14)	55	-	-	-	55
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	1,704	37	206	313	2,270

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვეზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა 9)	12	25	51	24	112
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 14)	2,188	-	38	-	2,226
სხვა ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 14)	34	-	-	-	34
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	2,234	25	89	24	2,372

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას დასახული კომპანიის ამოცანები მიმართულია კომპანიის უნარის შენარჩუნებისაკენ, განაგრძოს ოპერირება მოქმედი საწარმოს სახით და მფლობელს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა საკუთარ კაპიტალზე ხარჯების შესამცირებლად. კაპიტალის ოდენობა რომელსაც კომპანია მართავდა 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 5,524 ათას ლარს (2022: 3,838 ათასი ლარი).

24 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს მსჯელობას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხუროს

შპს „ქართული აგრო სახლი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

24 რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია

რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			საბალანსო ღირებულ ება
	დონე 1 რეალური ღირებულ ება	დონე 2 რეალური ღირებულ ება	დონე 3 რეალური ღირებულ ება	საბალანსო ღირებულ ება	დონე 1 რეალური ღირებულ ება	დონე 2 რეალური ღირებულ ება	დონე 3 რეალური ღირებულ ება	
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	-	2,496	-	2,496	-	2,063	-	2,063
- სავაჭრო მოთხოვნები	-	1,733	-	1,733	-	1,185	-	1,185
- სხვა მოთხოვნები	-	81	-	81	-	169	-	169
სულ აქტივები	-	4,310	-	4,310	-	3,417	-	3,417
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო ვალდებულებები	-	1,670	-	1,670	-	2,226	-	2,226
- სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	55	-	55	-	34	-	34
სულ ვალდებულებები	-	1,725	-	1,725	-	2,260	-	2,260

მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტების საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულებები განსაზღვრული იქნა შეფასების ტექნიკებით. გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. მოთხოვნისას ან შემდგომ პერიოდში გადასახდელი ვალდებულების („მოთხოვნადი ვალდებულებები“) რეალური ღირებულება შეფასებულია მოთხოვნილი თანხის დისკონტირებული ღირებულებით იმ თარიღის მიხედვით, როდესაც ის პირველად უნდა ყოფილიყო გადახდილი. გამოყენებული დისკონტის განაკვეთები მერყეობს წლიურ 6%-დან 14%-მდე, დამოკიდებულია ვალდებულების ხანდაზმულობასა და ვალუტაზე.

25 შეფასების კატეგორიის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა კომპანია ყველა თავის ფინანსურ აქტივს აფასებს ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში.

Handwritten signature and blue circular stamp.

26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 20 იანვარს, კომპანიამ ოფიციალურად შეცვალა თავისი სამართლებრივი ფორმა და შპს-დან (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად (სს). ეს სტრატეგიული გადაწყვეტილება შეესაბამება კომპანიის გრძელვადიანი ზრდის მიზნებს, უზრუნველყოფს კაპიტალის მოზიდვის უფრო დიდ მოქნილობას, ზრდის გამჭვირვალობას და აძლევს კორპორაციული მმართველობის ჩარჩოს. რეორგანიზაცია განხორციელდა მოქმედი სამართლებრივი და რეგულაციური მოთხოვნების შესაბამისად და შესაბამის ორგანოებში დადგენილი წესით დარეგისტრირდა.

დამტკიცდა: *საქმის მართვა*



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N250861365



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

09.07.2025 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ნინო მათუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 15ა, სართული 1, ბინა 6

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

591 70 99 74 / 597 74 77 40

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი


67277657145425



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 15ა, სართული 1, ბინა 6, მომმართა სოფიო ციციშვილმა (დაბადებული 04.01.1964წ. თბილისში, პირადი # 01017020534, მცხოვრები: ქ.თბილისი, გრიბოედოვის ქ. 28). მან წარმოადგინა მის მიერ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ნათარგმანი დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობას სანოტარო წესით დადასტურება. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე, მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ქართული, ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სისწორეს. თარჯიმანი გაფრთხილებულია და იგი ადასტურებს, რომ თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობს. თარჯიმნის უფლებამოსილება დადგენილია მისი ინგლისური ენის დამადასტურებელი დიპლომით ИВ # 254994, რეგისტრაციის # 51 და რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი N 0130, გაცემული ენის შემსწავლელი ცენტრი „სოლანა“-ს მიერ 2010. თარჯიმანი გაფრთხილებულია და იგი ადასტურებს, რომ თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობს. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე 102,00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. - 18.36 ლარი.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი



მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

1.	კომპანიის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	2
2.	კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები	3
3.	კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	3
4.	კომპანიის ფილიალების შესახებ ინფორმაცია.....	3
5.	მნიშვნელოვანი ფინანსური და არა-ფინანსური კოეფიციენტები.....	3
6.	ინფორმაცია საწესდებო კაპიტალის შესახებ	4
7.	წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემების დამატებითი განმარტებები	4
8.	კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკები და მათი მართვის მექანიზმები.....	4
9.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	4



ბიგნი (საქ. 2)

1. კომპანიის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „ქართული აგრო სახლი“ დაარსდა 2015 წლის 12 ივნისს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ფლობდა შპს „გრინჰაუზ ჰოლდინგი“ და მის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა GCF LP (რეგისტრირებული კაიმანის კუნძულებზე), რომელსაც აკონტროლებს ეკატერინე ზვედელიძე.

შპს „ქართული აგრო სახლი“ არის მომსახურების სრული ციკლის მქონე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემფუთავი და დისტრიბუტორი კომპანია. იგი, ადგილობრივ სასათბურე მეურნეობებსა და ფერმერებთან თანამშრომლობის გზით, ახორციელებს ბოსტნეულის და ხილის რეალიზაციას როგორც დაფასოებულ, ისე - ასაწონ ფორმებში. შპს „ქართული აგრო სახლი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში. კომპანიამ მოკლე პერიოდში შექმნა ნედლი ბოსტნეულის სასაწყობე და შემფუთავი მძლავრი წარმადობის საწარმო. როგორც კომპანიის ძირითადი საქმიანობა, საწარმოო ტერიტორიაზე ხორციელდება ნედლი ბოსტნეულის მიღება, დახარისხება, დაფასოება და შუფუთვა.

კომპანია საქმიანობას ახორციელებდა იჯარით აღებული ქონებით რომელშიც ფუნქციონირებდა შესაფუთი საწარმო და მდებარეობდა თბილისში. 2023 ფისკალურ წელს, კომპანიამ იგივე მიზნით ახლომდებარე ადგილას შეიძინა ახალი შენობა და მოახდინა მისი განახლება საოპერაციოდ მოსამზადებლად. ამ გარდამავალ პერიოდში, კომპანია დაფასოებას ახორციელებს ორივე ობიექტზე. მკაცრად და დაცული ტემპერატურული რეჟიმი და ჰიგიენური ნორმები, შესაფუთი სახლი სრულად ესადაგება HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) სტანდარტებს და ფლობს ნატურალური პროდუქტის სერტიფიკატს.

საწარმო მუდმივად ზრუნავს შეფუთვის ტექნოლოგიების განვითარებაზე, რათა მაქსიმალურად მოერგოს როგორც ევროპულ სტანდარტებს, ისე მომხმარებლის მზარდ მოთხოვნებს. მიმდინარე წელს საწარმომ შეიძინა ორი ახალი დანადგარი და ამჟამად აღჭურვილია შემდეგი მაღალეფექტიანი დანადგარებით:

- ორი წელვადი ფირით შესაფუთი დანადგარი (მწარმოებელი: Gruppo Fabri, იტალია), სწორი ზედაპირით შეფუთვისთვის;
- ორი მაღალი წარმადობის შემფუთავი დანადგარი პოლიეთილენის ფირით (Flow Pack) (მწარმოებელი: PFM, იტალია).

შპს „ქართული აგრო სახლი“ თანამშრომლობს საქართველოს მოწინავე სათბურებთან და ორიენტირებულია ახალი პარტნიორების მოძიებაზე, რათა გააფართოოს, როგორც პარტნიორ ფერმერთა წრე, ისე მომხმარებლებისთვის შეთავაზებული აგრო პროდუქციის ასორტიმენტი. „ქართული აგრო სახლის“ ძირითად პარტნიორ მწარმოებელს წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“. სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და ტექნოლოგიურად მოწინავე სასათბურე მეურნეობაა საქართველოში, რომელიც მდებარეობს გარდაბანში და გაშენებულია 123ა ფართობზე. სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ ფლობს GlobalGap-ის საერთაშორისო სერტიფიკატს (GGN 4059883794656) და ხარისხის მართვის სერტიფიკატს ISO 9001:2015.

კომპანია ფლობს ისეთ ბრენდებს როგორცაა, „პლანტა“ - პრემიუმ ხარისხის ბოსტნეული და „ქართული მოსავალი“ - მაღალი ხარისხის ქართული ბოსტნეული. კომპანია უზრუნველყოფს თავისი ბრენდების ფართომასშტაბიან მარკეტინგულ მხარდაჭერას სოციალურ ქსელებში აქტიური გვერდების არსებობით, სატელევიზიო შოუების სპონსორობით, კულინარიული რეცეპტებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ბლოგის წარმოებით, აქციებითა და სემპლინგებით სავაჭრო ქსელებში და სხვა მრავალი აქტივობით.

კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს საცალო და საბითუმო ქსელებში მათ შორის სუპერმარკეტებში როგორებიცაა: „აგროპაზი“, „კარფური“, „გუდვილი“, „ნიკორა“, „სპარი“, „ევროპროდუქტი“, „ზღაპარი“ და „ფრესკო“, ასევე ხილ-ბოსტნეულის სპეციალიზირებულ მაღაზიებსა და სხვა მსხვილ საცალო სავაჭრო ობიექტებში. 2024 წლის ბოლო მდგომარეობით შპს „ქართული აგრო სახლის“ პროდუქცია საქართველოს მასშტაბით 300-ზე მეტ სავაჭრო ობიექტშია წარმოდგენილი. კომპანია ადგილობრივ გაყიდვებთან ერთად ახორციელებს ექსპორტს. კომპანიის 2024 წლის ჯამური რეალიზაციის 1% (2023: 1%) მოდის საექსპორტო გაყიდვებზე.

კომპანიას ჰყავს ოთხმოცდაათზე მეტი თანამშრომელი სხვადასხვა სექტორში: ადმინისტრაცია, წარმოება, სასაწყობე, გაყიდვები და დისტრიბუცია.

2024 წელს კომპანიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული გაძლიერება ახალი მენეჯმენტის მოწვევითა და საკვანძო პოზიციებზე თანამშრომლების დაქირავებით. აღნიშნულმა სტრატეგიულმა

Handwritten signature

ნაბიჯებმა გააძლიერა ლიდერობა, გააუმჯობესა გადაწყვეტილების მიღების პროცესები და დააახლოა კომპანიის გრძელვადიან მიზნებთან.

2023 წლის ბოლოს, კომპანიამ შეწყვიტა ქირის ხელშეკრულება ადრე გამოყენებულ საწარმოო ფართზე. ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, დროებითი შესაფუთი ოპერაციები სწრაფად განთავსდა გარდაბანში, რაც გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობს კომპანიის აგროსექტორის საქმიანობებთან. ეს პროცესები აქტიური იყო მთელი 2024 წლის განმავლობაში, რითაც უზრუნველყო უწყვეტი წარმოება გარდამავალი პერიოდისა და დიდ დიღომში ახალი შესაფუთი სახლის მშენებლობის დაწყების პროცესში. აღნიშნულმა სტრატეგიულმა ნაბიჯმა უზრუნველყო კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირება და გააძლიერა ოპერაციული სტაბილურობა.

2. კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

შპს „ქართული აგრო სახლი“-ს ძირითად მიზნებს 2025 წლისათვის წარმოადგენს შემდეგი:

- არსებული პროდუქტების ოპტიმიზაცია და შეფუთვების გაუმჯობესება;
- ახალი პროდუქტების შექმნა, რაც ითვალისწინებს არსებული პორტფელში ახალი კულტურების დამატებას;
- 2024 წლის დეკემბერში, კომპანიამ ხელი მოაწერა სამშენებლო კონტრაქტს ახალ შესაფუთ სახლზე, რომელიც მდებარეობს დიდ დიღომში, თბილისში. ეს ობიექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინვესტიციას ოპერაციული ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. მშენებლობა დაუყოვნებლივ დაიწყო ხელმოწერის შემდეგ და მისი დასრულება მოსალოდნელია 2025 წელს. ახალი შესაფუთი სახლი ხელს შეუწყობს წარმოების მოცულობის გაზრდას და ლოჯისტიკური პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესებას;
- პროდუქტის მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის სეზონის გარეშე პერიოდშიც, ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კომპანიამ 2024 წელს განახორციელა სტრატეგიული გეგმა კონტრაქტორ ფერმერებთან თანამშრომლობისთვის. სანდო აგროსექტორის პარტნიორებთან შეთანხმებების გზით, კომპანიამ უზრუნველყო ნედლეულის სტაბილური მიწოდება არა-სეზონურ პერიოდებშიც. აღნიშნულმა ინიციატივამ არამხოლოდ უზრუნველყო წარმოების სტაბილურობა, არამედ გააუმჯობესა გრძელვადიანი დაგეგმვა, მარაგების მართვა და გააძლიერა ურთიერთობები აგროსექტორში.

დამატებით, კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიწოდების ჯაჭვის პროცესების შემდგომ განვითარებას, რათა ახალი ბოსტნეული სწრაფად დალაგდეს სავაჭრო წერტილებზე თავის პირვანდელ ფორმით და აგრონომიული წესების სრული დაცვით.

3. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევისა თუ განვითარების აქტივობებში 2024 და 2023 წლების განმავლობაში.

4. კომპანიის ფილიალების შესახებ ინფორმაცია

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას საკუთარი გაყიდვის წერტილი აქვს თბილისში, „დეზერტირების“ ბაზარში და სადისტრიბუციო ცენტრები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

5. მნიშვნელოვანი ფინანსური და არა-ფინანსური კოეფიციენტები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინდიკატორები შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2024	2023
შემოსავლები	25,861	22,567
წმინდა მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან	2,686	2,886
EBITDA*	2,814	2,988
თანამშრომელთა რაოდენობა	105	93

შენიშვნა*: მოგება პროცენტების, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე.

6. ინფორმაცია საწესდებო კაპიტალის შესახებ

2024 წლის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 684 ათას ლარს (2023: 684 ათასი ლარი).

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემების დამატებითი განმარტებები

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკები და მათი მართვის მექანიზმები

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკი და საპროცენტო რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების განფენილობა აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.


9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი ფინანსური რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკის და გაურკვევლობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	საკრედიტო რისკი	კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკების მინიმიზაციისთვის კომპანია მუდმივად ახდენს რისკების მონიტორინგს, რათა შეინარჩუნოს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის ჯანსაღი მდგომარეობა. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია საკრედიტო გაყიდვებს ახორციელებს მხოლოდ ქსელურ მარკეტებზე.
2	ლიკვიდურობის რისკი	ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.
3	საბაზრო	საბაზრო რისკი წარმოადგენს პოტენციურად შესაძლო ფინანსურ ზარალს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. სავალუტო რისკის შემცირებისა და მართვისთვის, მენეჯმენტი ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების მონიტორინგს და კონტროლს.

4

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		გურამ კაკუმაძე
ფინანსური დირექტორი		სოფიო არსენიძე

ანგარიში:  

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N250861285



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

09.07.2025 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ნინო მათუაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 15ა, სართული 1, ბინა 6

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

591 70 99 74 / 597 74 77 40

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი


13450696469325




სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე:
www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 15ა, სართული 1, ბინა 6, მომმართა სოფიო ციციშვილმა (დაბადებული 04.01.1964წ. თბილისში, პირადი # 01017020534, მცხოვრები: ქ.თბილისი, გრიბოედოვის ქ. 28). მან წარმოადგინა მის მიერ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ნათარგმანი დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობას სანოტარო წესით დადასტურება. მე, ნოტარიუსმა, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე, მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის ქართული, ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სისწორეს. თარჯიმანი გაფრთხილებულია და იგი ადასტურებს, რომ თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობს. თარჯიმნის უფლებამოსილება დადგენილია მისი ინგლისური ენის დამადასტურებელი დიპლომით ИВ # 254994, რეგისტრაციის # 51 და რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი N 0130, გაცემული ენის შემსწავლელი ცენტრი „სოლანა“-ს მიერ 2010. თარჯიმანი გაფრთხილებულია და იგი ადასტურებს, რომ თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობს. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე 20,00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.დ.გ. – 3.60 ლარი.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი





Contents

Independent Auditor's Report

Financial statements

Statement of Financial Position

Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income

GEORGIAN AGRO HOUSE LLC

International Financial Reporting Standards

Financial Statements and

Independent Auditor's Report

31 December 2024

1. Critical Accounting Estimates and Judgments in Applying Accounting Policies

2. Adoption of New or Revised Standards and Interpretations

3. New Accounting Policies/Estimates

4. Balances and Transactions with Related Parties

5. Property, Plant and Equipment

6. Right-of-use Assets and Lease Liabilities

7. Intangible Assets

8. Trade and Other Receivables

9. Cash and Cash Equivalents

10. Goodwill

11. Trade and Other Payables

12. Revenue from Contracts with Customers

13. Cost of Sales

14. Depreciation and Amortization Expenses

15. General and Administrative Expenses

16. Finance Costs

17. Income Taxes

18. Contingencies and Commitments

19. Financial Risk Management

20. Management of Capital

21. Fair Value Measurements

22. Presentation of Financial Information by Management Policy

23. Events After the Reporting Period

Contents

Independent Auditor's report

Financial statements

Statement of Financial Position	1
Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income	2
Statement of Changes in Equity	3
Statement of Cash Flows	4

Notes to the Financial Statements

1 Georgian Agro House LLC and its Operations	5
2 Operating Environment of the Company	5
3 Basis of preparation	6
4 Critical Accounting Estimates and Judgements in Applying Accounting Policies	7
5 Adoption of New or Revised Standards and Interpretations	7
6 New Accounting Pronouncements	8
7 Balances and Transactions with Related Parties	9
8 Property, Plant and Equipment	10
9 Right-of-use Assets and Lease Liabilities	13
10 Inventories	15
11 Trade and Other Receivables	15
12 Cash and Cash Equivalents	17
13 Charter Capital	18
14 Trade and Other Payables	18
15 Revenue from Contracts with Customers	18
16 Cost of Sales	19
17 Distribution and Commercial Expenses	19
18 General and Administrative Expenses	20
19 Finance Costs	20
20 Income Taxes	20
21 Contingencies and Commitments	21
22 Financial Risk Management	22
23 Management of Capital	24
